

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის
მიზნობრივი პროგრამა

2018 წლისათვის
ზომის ერთეული ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

მრავალშვილიანი დედების (ყოველ მე-3 და მომდევნო შვილის შექმნისას)
ერთჯერადი მატერიალური დახმარება

2. პროგრამის დაწყების და დასრულების თარიღი, ხანგრძლივობა:

“1 იანვარი“ 2018წ.
“31 დეკემბერი“ 2018წ.

3. პროგრამის ორგანიზაციული კოდი საბიუჯეტო კლასიფიკაციით: 06 02 03

4. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

75 000 (სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.

5. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტი 75 000 ლარი.

6. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

7. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარება მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური სტიმულირების მიზნით ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შეიმუშავა პროგრამა, რომელიც გულისხმობს ყოველ მესამე შვილზე 500 ლარით, მეოთხე შვილზე 1000 ლარით, მეხუთე და შემდეგ შვილზე 1500 ლარით დახმარებას.

8. პროგრამის მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

| № | პროგრამის მიზნები | მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები |
|---|---|--|
| 1 | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი დედების (ყოველ მე-3 და მომდევნო შვილის შეძენისას) ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა | პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა. |
| | | მოსახლეობის კმაყოფილების დონის ამაღლება |

9. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

| 2018 წელი | | | | | | | | | | | | | |
|-----------|-----------------------------|---------|-----------|-------|--------|-------|--------|--------|---------|------------|-----------|----------|-----------|
| № | საქმიანობის აღწერა | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
| 1 | ერთჯერადი დახმარების გაწევა | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X | X |

10. პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა და კატეგორია:

პროგრამით ისარგებლებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთაც 2018 წელს შეეძინება მესამე და მომდევნო შვილი. ოჯახების სავარაუდო რაოდენობა განისაზღვრება წინა წლის შობადობის სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით.

11. პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი:

პროგრამით ისარგებლებს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები, სოციალური სტატუსის მიუხედავად, ყოველი მესამე და მომდევნო შვილის შეძენისას.

12. პროგრამის ბიუჯეტი

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით

| № | წეაროს დასახელება | | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი | სულ |
|---|-------------------|--|-----------|-----------|-----------|-------|
| | ძირითადი | ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბიუჯეტი | 75000 | | | 75000 |
| | დამატებითი | | | | | |
| | სულ | | 75000 | | | 75000 |

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებათა მიხედვით

| № | პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დასახელება | ერთეულის დასახელება | რაოდენობა | ერთჯერადი დახმარების მოცულობა (ლარი) | სულ ღონისძიების ხარჯი (ლარი) |
|----------|---|---------------------|-----------|--------------------------------------|------------------------------|
| 1 | მატერიალური დახმარება მესამე შვილის შექმნისას | ოჯახი | 105 | 500 | 52500 |
| 2 | მატერიალური დახმარება მეოთხე შვილის შექმნისას | ოჯახი | 15 | 1000 | 15000 |
| 3 | მატერიალური დახმარება მესამე და მომდევნო შვილის შექმნისას | ოჯახი | 5 | 1500 | 7500 |
| სულ ჯამი | | | | | 75000 |

დამატებითი ინფორმაცია:

მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:
დაფინანსება განხორციელდება ინდივიდუალური განცხადებების საფუძველზე ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერისსახელზე;
2. მშობლების პირადობის მოწმობის ასლები დედანთან ერთად;
3. შვილების დაბადების მოწმობის ასლები დედანთან ერთად;
4. საბანკო რეკვიზიტები.
5. საჭიროების შემთხვევაში – ქორწინების მოწმობა და სხვა დოკუმენტაცია.

შენიშვნა: სხვადასხვა მიზეზით დაგვიანებით მომართვის შემთხვევაში 2018 წლის დეკემბერში შვილის შექმნასთან დაკავშირებით ოჯახზე ერთჯერადი დახმარება გაიცემა შვილის შექმნის პერიოდში მოქმედი მიზნობრივი პროგრამით გათვალისწინებული სარგოს ფარგლებში.

დაფინანსება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ბენეფიციარის საბანკო ანგარიშზე.